

თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი

2 ოქტომბერი 2010

სხდომა №10

სხდომის ოქმი №10/2010

სხდომას ეწვრიებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. ასოცირებული პროფესორი ოლღა ქავთარია,
5. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე,
6. პროფესორი მაკა სალხინაშვილი,
7. პროფესორი ნინო ორმოცაძე,
8. ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. თჰუ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობებისა და კონკურსის ჩატარების წესის თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი).

მოსმინეს: პროფესორ კ. ყურაშვილის ინფორმაცია, რომ 2010–2011 სასწავლო წლის დასაწყისისთვის თჰუ–ის ყველა ფაკულტეტზე არის ვაკანტური აკადემიური თანამდებობები, რაც იძლევა საშუალებას:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი;
2. შეიქმნას საკონკურსო კომისია და დადგინდეს მისი მუშაობის წესი;
3. განისაზღვროს კონკურსის ჩატარების პირობები.

1. მომხსენებელმა წარმოადგინა პერსპექტიული ვაკანტური სამტატო ერთეულების ნუსხა შემდეგი სახით:

ა) სამართლის ფაკულტეტი:

- სრული პროფესორი (საჯარო სამართალი) – 1სამტატო ერთეული;
- სრული პროფესორი (კერძო სამართალი) – 1 სამტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;

ბ) ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი:

- სრული პროფესორი – 2 სამტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;

გ) ჰუმანიტარული ფაკულტეტი:

- ინგლისური ფილოლოგიის სრული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
- გერმანული ფილოლოგიის სრული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
- ინგლისური ფილოლოგიის ასოცირებული პროფესორი – 2 სამტატო ერთეული;
- ისტორიულ მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;
- ფილოსოფია – ლოგიკის ასოცირებული პროფესორი – 1 სამტატო ერთეული;

დ) ჯანდაცვის ფაკულტეტი:

- სრული პროფესორი – 2 სამტატო ერთეული;
- ასოცირებული პროფესორი – 3 სამტატო ერთეული.

2. პროფ. კ. ყურაშვილმა სხდომის წევრებს გააცნო საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატთა სია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ზაზა რუხაძე, სამართლის დოქტორი;
- ბ) ეკატერინე შენგელია, სამართლის დოქტორი;
- გ) გიორგი ბახტაძე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
- დ) გულნარა ნოლაიძელი, ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი;
- ე) მურმან ცარციძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი;
- ვ) ოლღა პერტიაშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
- ზ) ნატალია ბასილაია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი;
- თ) ლეონიდე ჯაბაია – ფილოსოფიის დოქტორი.

ასევე მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა განისაზღვროს საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი, რომლის ვერსიაც წარმოადგინა ასეთი სახით:

- ა) საკონკურსო კომისიის ქვორუშია, თუ სხდომას ესწრება ნახევარზე მეტი მაინც;
- ბ) საკონკურსო კომისიის სხდომას იწვევს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე;
- გ) საკონკურსო კომისიის სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი;
- დ) საკონკურსო კომისია პირველ სხდომაზე განიხილავს შემოსულ განაცხადებისა და და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობას საკონკურსო პირობებთან და არკვევს ხომ არ არის კონკურსანტის დისკვალიფიკაციის საფუძველი;
- ე) კონკურსანტის დისკვალიფიკაციის თაობაზე საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა 2/3-ს თანხმობით;
- ვ) საკონკურსო კომისიის პირველ სხდომაზე საკონკურსო კომისიის წევრებს შორის ნაწილდება პროფილის შესაბამისად, წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადები და თანდართული სილაბუსები, შესწავლისა და დასკვნის წარმოასაგდენად;
- ზ) საკონკურსო კომისიის მეორე სხდომაზე (საჭიროების შემთხვევაში – მესამე, მეოთხე და მეხუთე სხდომაზე – ფაკულტეტების მიხედვით) ხდება წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადებისა და კონკურსანტების თაობაზე შედგენილი დასკვნების გაცნობა და შეფასება;
- თ) თითოეული პრეტენდენტი ფასდება 10 ქულის ფარგლებში, სადაც 3 ქულა ნაწილდება პედაგოგიურ გამოცდილებაზე, 3 ქულა – სამეცნიერო საქმიანობაზე, 4 ქულა – წარმოდგენილ სილაბუსებსა და მასში ასახულ სწავლების მეთოდოლოგიაზე;
- ი) თითოეულ კონკურსანტს საკონკურსო საბჭოს წევრები აფასებენ ინდივიდუალურად, რის შემდეგაც დგება მისი რეიტინგული გაშუალებული ქულა;
- კ) გამარჯვებულად ცხადდება ის კანდიდატი, რომელიც დააგროვებს უფრო მაღალ რეიტინგულ ქულას.

3. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო შემოთავაზებულ ვაკანტური ადგილებზე ღია კონკურსის წესით აკადემიური პერსონალის შერჩევის საკონკურსო პირობების შემდეგი ვარიანტი:

3.1. პროფესორად აირჩევა 70 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:

ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;

ბ) აქვს სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

გ) აქვს გამოქვეყნებული სულ ცოტა 5 სამეცნიერო შრომა, ბოლო 5 წლის მანძილზე;

დ) ფლობს ერთ–ერთ უცხო ენას მაინც და კომპიუტერულ პროგრამებს;

ე) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით წარმოადგენს თჰუ–ში რეალიზებული შესაბამისი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ არანაკლებ 3 და სამაგისტრო პროგრამით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებულ არანაკლებ 2 სასწავლო დისციპლინაში მომზადებულ სილაბუსს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია.

ვ) განცხადებასთან ერთად აკადემიური თანამდებობის პრეტენდენტმა უნდა შეავსოს განცხადების ტიპიური ფორმა, რომელშიც განაცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობითა და შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად.

3.2. ასოცირებულ პროფესორად აირჩევა 65 წლამდე ასაკის პირი, რომელიც აგრეთვე:

ა) არის დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი;

ბ) აქვს სამეცნიერო – პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) აქვს გამოქვეყნებული სულ ცოტა 3 სამეცნიერო შრომა ბოლო 5 წლის მანძილზე;

დ) ფლობს ერთ–ერთ უცხო ენას მაინც და კომპიუტერულ პროგრამებს;

ე) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით წარმოადგენს თჰუ–ში რეალიზებული შესაბამისი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ არანაკლებ 2 და სამაგისტრო პროგრამით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებულ არანაკლებ 1 სასწავლო დისციპლინაში მომზადებულ სილაბუსს, რომელსაც განიხილავს საკონკურსო კომისია.

ვ) განცხადებასთან ერთად აკადემიური თანამდებობის პრეტენდენტმა უნდა შეავსოს განცხადების ტიპიური ფორმა, რომელშიც განაცხადებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში იგი არ დაიკავებს აკადემიურ თანამდებობას ერთზე მეტ სხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, მოქმედი კანონმდებლობითა და შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად.

ასევე, სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ იქნა კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიაზე წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება;

ბ) პირადი მოწმობის ასლი;

გ) დიპლომის/დიპლომების ასლები;

დ) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ან პედაგოგიური სტაჟის დამადასტურებელი ცნობები;

ე) აკადემიური ან სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი მოწმობები და სხვა სერტიფიკატი;

ვ) ნაბეჭდი და ელექტრონული ფორმით სილაბუსი/სილაბუსები თჰუ–ს მიერ დამტკიცებული ფორმით;

ზ) CV (ავტობიოგრაფია).

პროფ. ვ. ყურაშვილმა აუდიტორიას გააცნო ასეთი წინადადება, რომ საბუთების მიღების ვადად გამოცხადდეს 2010 წლის 11 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე, ღია კონკურსი ჩატარდეს

2011 წლის 3–24 იანვრამდე, კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2011 წლის 29 იანვარი და გამარჯვებული კონკურსანტი აკადემიურ თანამდებობაზე განწესდეს 3 წლის ვადით.

აზრი გამოთქვას: პროფ. ო. ეჯიბაძემ, ასოც. პროფ. ი. საყვარელიძემ, ასოც. პროფ. ო. ქავთარიამ

გადაწყვიტეს:

1. თჰუ–ში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი გამოცხადდეს 2010 წლის 11 ოქტომბრიდან;
2. თჰუ–ში ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად განცხადებების მიღება განხორციელდეს 2010 წლის 11 ნოემბრიდან 2010 წლის 2 დეკემბრამდე;
3. პროფ. კ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსი ჩატარდეს 2011 წლის 3 იანვრიდან 24 იანვრამდე;
4. შეიქმნას საკონკურსო კომისია პროფ. კ. ყურაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით;
5. ღია კონკურსის ჩატარების პირობების პროექტი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეთა მიერ წარმოსადგენი საბუთების ნუსხა წარმოდგენილი სახით;
7. საკონკურსო კომისიამ ღია კონკურსის შედეგები გამოაქვეყნოს 2010 წლის 29 იანვრამდე;
8. ღია კონკურსში გამარჯვებული პირი აკადემიურ თანამდებობაზე განწესდეს 3 წლით.
9. ეს გადაწყვეტილება და ცნობა ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე 2010 წლის 11 ოქტომბრამდე, აგრეთვე გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით;
10. ეთხოვოს თჰუ წარმომადგენლობით საბჭოს საკონკურსო პირობების და კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცება;
10. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

ვ. საყვარელიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი:

კ. ყურაშვილი